



ათეატრის სალიტერატურო ჟურნალი

„თეატრი და სოფრების“ რედაქცია მოთავსებულია ქართულ თეატრის კანტორაში, სარედაქციო საქმეებზე მოლაპარაკება—დილით 9—12 ს., საღამოთი 6—8 ს. აქვე მიიღება ხელის მოწერა.


წლურად 5 მ., წლის ბოლომდე 4 მ., მისიან 3 მ. 20 კ. მისამართი: Тифлись. Грузинский Театръ, ред. „Театри да Цховреба“ Юсифу Имедашвили ტელეფონი № 7-95.

№ 14.—1914.

უახლი 10 კ.

კვირა, 8 ივნისი.

სალამი ქართულ სცენის



მოღვეწეთა პირველ ყრილობას!

აწმენა—იმედი—სიუვარული



- 1) რას გვთავაზობს დღევანდელი ყრილობა? შეთავაზება
- 2) ქართული ორიგინალური დრამატურგია, კონსტანს-ხენდონის
- 3) კონსერვატიური ქართული თეატრის ისტორიისა, გ. ლეხიძისა
- 4) თავმჯდომარის წინადადება დრამატული კლასების შესახებ, გ. თუმანიშვილის
- 5) მიწის მუშას, ნაშეგუნდისა
- 6) მუსიკა და ქართველი მუსიკოსნი, ა. მანაძისა
- 7) ქართულ თეატრის მოღვაწენი ქართლში, სთავ. შავლიანიშვილისა
- 8) „იასონის ოინები“, ცოდვილი 2 სურათად, ივ. ვაშლიძისა
- 9) „მე“, შ. პაჭკორიშვილისა
- 10) მუშა პ. გაჩეჩილაძის სიტყვა კ. მესხზე
- 11) წერილი ამბები

- 1 ვაგროვებთ ყოველგვარ მასალას, ქართულ
- 2 თეატრის მუზეუმისათვის გამოსადეგს; ამიტომ
- 3 ვსთხოვთ ყველას, ვისაც მოეპოება ძველი თუ
- 4 ბოლოდნელი აფიში, პროგრამა, მსახიობთა,
- 5 დრამატურგთა, სასცენო მოღვაწეთა; მუსი-
- 6 კოსთა, მხატვარ-მოქანდაკეთა სურათები, ჯგუ-
- 7 ფობრივ ანუ ცალკე გადაღებული, ნახატები,
- 8 ხელნაწერები (ძველი დროისა—გარდაცვალებულითა),
- 9 თავისი სახელ-გვარის წარწერით გამოგზავნონ (თიფლისე, გრუზინსკი თეატრე,
- 10 რედ. „Театри да Цховреба“—იოსიფ იმედაშვილი).
- 11 მოგროვილი მასალა შესაფერის წესრიგით და ნომრით დაკულ იქნება განსაკუთრებულ,
- 12 უშიშარ აღვილას, ქართულ თეატრში.
- 13 რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“



ქართული თეატრი
დასაწყისი სადამოს 8 1/2 ს.
აღვილებს დასი ჩვეულებრივი ბილეთები იყიდება კასში.

დღეს, კვირას, 8 ივნისს **შალვა დადიანის** თაოსნობით წარმოადგენილი იქნება პირველად თბილისის სცენაზე **ნინო ნაყაშიძის** პიესა **ლორა** 4 მოქ. **მონაწილეობენ:** ქ-ნნი 7 სურათად, ანდრონიკაშვილი ელი, ლევთაი ო., დოლობერიძე ო. ბ-ნნი: დადიანი, კორიშელი, მურუშიძე, ურუშაძე, ხინელი. სალიანგო სანახავეგში—სახალხო თეატრის სცენის მოყვარენი და გურული მომღერლები. → **პიესის აღსრულების დროს გურული კილო არ იქნება დაკული**



ივრისის მომღერალ-მგალობელთა გუნდი **ვასო მათურჯლის** ლოკაბარობით დღევანდელი კონსერვატივი გამო.



№ 14

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (სლორაპანი-ის სტამბაში). მისამართი: **თიფლისი, რედ. „Театри да Цховреба“ იოს. Имедашვილი.**

ხელ-მოწერვლი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საკრებობისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 14

კ ვ ი რ ა, 8 ი ბ ე ნ ი

1914 წ.

8 ი ბ ე ნ ი

რას გვავალებს დღევანდელი ყრილობა?

ცნო ხელოვნების ზრდა-განვითარებას; დღე-ქართულ თეატრში შესდგება სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა, რასაც აღფრთოვანებით ვულოცავთ ჩვენს სამშობლოს...

წინადაც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ამ ყრილობამ უნდა ჩაჰყაროს საძირკველი ჩვენს სცენის განახლება-აღორძინებისა და მით სული შეუწყოს ქვეყნის გათვითცნობიერებასა და წინსვლას...

ხოლო ჩვენი თეატრი თავის მოვალეობას პირნათლად მაშინ აღასრულებს, როდესაც თვით შეგნებით ივლის წინსვლის გზაზე...

აღარავისთვისაა დაფარული ჩვენი სკოლის, ოჯახის თუ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა გაუკუღმართების გზაზე შედგომა: ყველგან და ყველაფერში გადაგვარების ხელმა ჩაიბუღა, — გადაგვარების არა მხოლოდ ენის, არამედ ზნის, ყოფა-ცხოვრების, სულისაც...

ერთადერთი ეროვნულად, მოქალაქეობრივად და საზოგადოებრივად გამწრთველი დაწესებულება ჩვენი თეატრია... ჩვენი თეატრია, რომ გვიფარავს ენას, ხალხისნურ სულს, გვიღვივებს ეროვნულ თვითცნობიერებას. მაგრამ თითქო ამ დაწესებულებასაც ეპარება გადამგვარებელი მიდრეკილება: მშობლიური ჰანგი, ქართული კილო წარყენლია, შეჩერული...

ხშირად წარმოდგენა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს უცხოეთე ახლად შეუსწავლიათ ქართული ენა და ისე სთამაშობენო...

რეპერტუარი? — აქამომდე ვისაც რა პიესა მოეპრიანებოდა, იმას სდგავდა: შინაარსსა და მხატვრულ მხარეს ხშირად ყურადღებას არ აქცევდა, — ეს თუ აქამომდე იყო, — დღეის შემდეგ აღარ უნდა განმეორდეს.

არა ერთხელ თქმულა, რომ დღეს ქართული თეატრის მაყურებელი ხალხია, დემოკრატია, იშვით შემთხვევაში არისტოკრატია, მაღალი საზოგადოება თუ ესწრება, ისიც მხოლოდ ქველმოქმედურის მიზნით...



გიორგი ერისთავი (1811—1864)

პირველი დრამატურგი, პირველი რეჟისორი, პირველი მასხობი.

სათეატრო მოღვაწენი



დ. ი. იოსაძე



ივ. შერეხელიძე



ნ. ავლიშვილი



ე. კლდიაშვილისა

ეს არ შეეფერება ჩვენი თეატრის ღირსებასა და მის მსახურთ: ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილ უნდა იქმნეს ხელგაშვება და მოწყალებით საზრდოობა... დღევანდელმა ქართულმა თეატრმა მხოლოდ მუდმივი მაყურებლის სულიერი წყურვილის დაკმაყოფილება უნდა დაისახოს მიზნად და საზრდოსაც მუდამ მისგან ელოდეს...

აქამომდე დრამატული საზოგადოებანი თუ წრენი ცალკაღე მოქმედებდნენ, ერთი მეორის გეგმის შეუცნობლად, — დღის შემდეგ მტკიცე კავშირი უნდა დაიდგას ქართველ სცენის მოღვაწეთა შორის და მათს მოქმედებას თავით-ბოლომდე ერთი ხაზი გასდევდეს...

დღეს ქართულ სცენის მოღვაწენი თუმცა რიცხვით გამრავლდნენ, ღირსებით ბევრით კოკლობდნენ... დროა საზღვარი დაედოს სცენაზე ისეთ პირთა მიღებას, რომელთაც შესაფერი განვითარება-მომზადება არ მიუღიათ, — ჩვენ აქ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ცენტს არა ვგულისხმობთ, — ეს არც თუ ისე საჭიროა, — საჭიროა მხოლოდ ქართული სცენის მუშაება ზედმიწევნით იკოდეს სამშობლო მწერლობა და ხელოვნების (განსაკუთრებით სასცენოსო) სხვა და სხვა დარგნი.

ჩვენის სცენის ცხოვრებამ საჭიროდ სწრაფად დრამატულ კლასების დაარსება და ამ საგნის შესახებ 24 წლის წინად დრამ. საზ. გამგეობაში აღიძრა კიდევ საკითხი მისი დაარსებისა. შესაფერი მოხსენებაც წარუდგინა მაშინდელ გამგეობის თავმჯდომარემ გ. თუმანიშვილმა, მაგრამ „რადგან დრამატულ კლასების გახსნა ამ ხანად (1890 წ.) ძნელი იყო მასწავლებლების და მოსწავლეების ნაკლებობის გამო, გამგეობამ გადასწყვიტა: განაჩენში ჩასწეროს თავმჯდომარის წინადადება შესახებ დრამატულ კლასების დაარსებისა და სამაგალითო წარმოდგენების გამართვისა, იმ აზრით, რომ ამ წინადადებით ისარგებლოს შემდეგში“. (განაჩენი ქართ. დრ. საზ. მმართველობისა 28 ნენკენისთვისა, 1890 წ.) აქვე ვბეჭდავთ ამ წინადადებას, ყოველივეს განუმარტველად: დაე, კრილობამ განსაჯოს რაოდენად საჭიროა ამ კურსების დაარსება და რა საშუალებით.

დღემდე თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული ავტორთა დაჯილდოება, — ზოგიერთი სვეტენდიანი თუ მიიღებდენ ხოლმე რაღაც გროშებს, უმეტესობა ხომ კაპიეკსაც ვერ ეღირსებოდა.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ განიხროს და იკოდეს ყველამ — სადაც უნდა დაიდგას პიესა, — მის ავტორსაც მიეცეს (გაფუხავნოს) კუთვნილი.

მეტად საყალბოა მოხუც მსახიობთა მდგომარეობა... საზოგადოდ მსახიობი თითქო წუთიერი ყოფით ცხოვრობსო, თვეში 5—15 თუმანიც რომ აიღოს, თვის ბოლოს გროში აღარ აქვსა „შავი დღე“ ხომ აღარც კი ახსოვს. აუცილებლად საჭიროა მსახიობთა საურთიერთო დამხმარე კაისი შექმნა. ამიტომ სცენის ყოველ მუშაკს უნდა გადახდეს ჯამაგირის უწყებული პროცენტი და ყოველ წლიურად თითო წარმოდგენა მიანიც გაიმართოს საქართველოს დაბა-ქალაქებში ამ ფონდის სასარგებლოდ.

მაშ ასე: სამშობლო ენის სიფაქიზის დაცვა, შერჩეულ-იდეური რეპერტუარი, დედა-ქალაქისა და პროვინციის თეატრების ერთი გეგმით ამოქმედება, დრამატული საზოგადოებთა გაერთიანება, მსახიობთა კავ-

სათეატრო მოღვაწენი



პეტრე უშიაკიშვილი



ალ. ნებიერიძე



ნ. ქართველიშვილი



პ. ყიფიანი



პ. გოთუა

სცენის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევის ერთი დამწყებთაგანი.

ქ ა რ თ უ ლ ი ს ც ე ნ ი ს ბ უ რ ჯ ნ ი



ვ. მესხიშვილი



ვ. აბაშიძე



კ. მესხი



მ. საფ.-აბაშიძის ნ. გაბ.-ცაგარლისა



მსახიობნი, ანტრუპრენორნი, რეჟი-
სორნი, მთარგმნელნი.

თვითშემოქმედნი უნივერსენი მსახიობ-
ქალნი

შირის დაარსება, განვითარებულ-შომზადებულ მსახიობთა რაზმის შექმნა, ავტორის ჯილდოს დაკანონება, მსახიობთა ფონდის დაფუძნება და სხ., — აი რას უნდა ზიაქიოს ყურადღება და შესაფერი გეგმითაც განახორციელოს იგი.

კიდევ ერთხელ ვუსურვებთ ჩვენი სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობას დინჯად, შორს-განჭკვრეტით და ნაყოფიერად ემუშავნას!

უგულითადეს საღაბს ვუძღვნი ჩვენი ქვეყნის გათვითცნობიერების მესვეურთ!



ქ ა რ თ უ ლ ი ო რ ი გ ი ნ ა ლ უ შ რ ი ღ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა

(თვალის გადავლებით)

ქართული დრამატურგიის ისტორია უნდა განირჩეს ორის თვალსაზრისით:

პირველი: — ორგანიული ზრდა იმ დრამატიულ ელემენტებისა, რომელნიც შედეგად მოპყენენ ხალხის შემოქმედებას; ხოლო მეორე: — სხვა ქვეყნიდან შემოტანილი ფორმა დრამატურგიისა.

ეს ორი თვალსაზრისი ერთის ფასისაა და იხმარების როგორც მეოთხე მშობლიურ თეატრის ევოლიუციის შესწავლის დროს.

მე 19 საუკუნემდე ჩვენმა ერმა, თვისის შემოქმედებით, დაამზადა ელემენტები ჩვენის დრამისა: დიალოგი, მოქმედება, გარდმოცემა, თქმა და მრავ. სხვა. საჭირო იყო მხოლოდ ამ ელემენტების შედუღება და ეს შედუღება მან მე 18 საუკუნის დამლევს სცადა, რაიც მტკიცდება ერვლე მეფის დროს რამდენიმე დრამის დაწერით. მაგრამ ჩვენი ერის კულტურულ მაჯის ცემის შეწყვეტამ ჩააქრო ის ცეცხლი, რომელზედაც ეს შედუღება უნდა მომხდარიყო.

მე 19 საუკუნის პირველ ნახევარში იშვა ჩვენი ორიგინალური დრამატურგია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არის ნაყოფი ხალხის შემოქმედების ევოლიუციისა, იგი წარმოშობილია და შექმნილი მძლავრ პიროვნების შემოქმედების ინიციატივით. ეს პიროვნება ვახლავთ თ.-ი გ. დ. კრისთაჟა.

აქედან იწყება სისტემატიური ქმნა ჩვენის დრამატურგიისა.

დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი



ბ. ჯორჯაძისა



ალ. ორბელიანი



დ. ორბელიანი



ვ. ცაგარელი

გ. ერისთავის „გაცრა“ პირველი ქვა არის, ჩვენი დრამატურგის შენობის საძირკველზე მოტანილი.

პირველად დაიბადა და განვითარდა ეგრედ წოდებული უოფა-ცსოფრების კომედიას (სЫТОВАЯ КОМЕДИЯ). ეს არის პირველი საფეხური ჩვენის ტრამატურგის განვითარებისა.

1838 წლიდან 1905 წლამდე ამ კომედიის შექმნა-განვითარებას მოანდომეს თავისი ნიჭი გ. ერისთავმა, ანტონოვმა, ღვინაძემ, ჯაფარიძემ, მეფარიანმა, ა. ცაგარელმა, აზიანმა, კლიაშვილმა, თუთაევმა, გ. წერეთელმა და სხვ.

მეორე დარგს ჩვენის დრამატურგისას — თვით დრამას (ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით) საძირკველი ჩაუყარა ალ. ყაზბეგის „ასისუნამი“. ეს მოხდა 1882 წელს. იმ დროიდან დღემდე დრამატურგის ეს დარგი ძიების ხანას განიცდის. ჯერ საბოლოოდ არ არის გამოჩვეული არც ფორმა და არც მიმართულება ორიგინალურ დრამისა; თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს დრამას მეტად ნიჭიერი ქურუმნი გამოუჩნდნენ. გვულისხმობ: ნიკ. შიუკაშვილს, ი. გედევანიშვილს, ტრ. რამიშვილს და მთელს ჯგუფს ახალგაზრდა დრამატურგებისას.

ვიმეორე: დღემდე შექმნილია და დასრულებული უოფა-ცსოფრების კომედიას. სხვა დარგები ჩვენის დრამატურგისა ჯერ კიდევ ძიებისა და განვითარების ხანას განიცდიან.

ჩვენა გვეონია, რომ ის, რაც ხალხის შემოქმედების მეოხებით მე-19-ტე საუკუნემდე შექმნილია და ის რაიც მე-19-ტე საუკუნის განმავლობაში შეიქმნა, შეიქმნა სრულიად დამოუკიდებლად წარსულისა, — მომავალში შედლდება, შედლდება, შეკავშირდება ორგანიულად და მით მოგვევლინება ორიგინალური ფორმა და სახე ჩვენის დრამატურგისა. ეს მოხდება ღუცილებლად, რადგანაც ამ პროცესის გარეშე ყოვლად შეუძლებელია არსებობა ჩვენის თეატრისა.

ეს მოხდება აუცილებლად, რადგანაც პროცესი ამ შედლდება-შეკავშირებისა უკვე დაიწყო.

კონსტან-ანდრონი

დრამატურგნი



ალ. ყაზბეგი



გ. გვინია



ი. გულისხვილი



აზიანი



ტრ. რამიშვილი



გ. სუნდუკიანი



ი. გედევანიშვილი



ვ. კუჩიანი



ნ. შიუკაშვილი



დ. კლიაშვილი

დრამატურგნი



დ. ნახუცრიშვილი



ივ. გომართელი



ირეთელი



შოთა ლაღიანი



ს. გლახაშვილი

კონსტანტინე ქართულ თეატრის ისტორიის

1790 წლიდან 1879 წლამდე

ქართული თეატრის გეგმა და ნიადაგი შემუშავდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველთა ცხოვრებაში ხმალი ტრიალებდა და ქვეყნად განისპილდა: გაძარჯვება ან სიკვდილი...

მაგრამ თეატრის ნამდვილი მოქმედება დაიწყო 1790 წლიდან. ამ წლიდან დასრულდა მას ბევრი ჭირ-გარამი ჰხედომია წილად, ბევრი მსხვერპლი შეწირულა მისი გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მან ყველაფერი აიტანა და დღეს უკვე სასურველი ნიადაგი მოიპოვა.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა უწევდა ქართველებს თეატრის მაგიერობას ახლო საუკუნეებში. ამის პასუხი თითქმის არც ისე მწილია. თეატრის მაგიერობას სწევდნენ ეგრედწოდებულნი ჟამბახთა წრეები, ეპახი, ჟირითები და სხ. ქართულ თეატრის მამამთავრად და საფუძვლის ჩამყრელად უნდა ვიცნობდეთ ვინმე გაბრიელ მაიფის, რომლის გვარი და ბიოგრაფია ჩვენთვის სრულიად გამოურკვეველია. მხოლოდ ვიცით შემდეგი: იგი ცხოვრობდა ჯერ რუსეთში (მე-XVIII საუკ. ბოლოს) და იყო მაიორად, ხოლო შემდგომ ჩამოვიდა საქართველოში. აქ, დაინტერესებულმა ევროპის ცოდნით მოიწადინა, თვისი სწავლის გაზიარება მომეთათვის და, სხვათა შორის, თეატრის დარსება, ვინაიდან თეატრი, როგორც საკულტურო დაწესებულება, გავრცელებული იყო ევროპაში და რუსეთშიც მტკიცე ფესვებს იდგამდა. (ვახისენი მაშინდელი ცნობილი დრამატურგი სუმაროკოვი).

საქართველოში თეატრი მანამდე არ არსებობდა, ხოლო სურვილი და ცოდნა დიდი ხანია ჰქონდა ქართველ არისტოკრატებს.

პირველი ქართული წარმოდგენები გაიმართა 1789—90 წლებში, ხოლო პიესები უნდა ყოფილიყო სასულიერო შინაარსისა. (რუსეთად, რუსულ თეატრის მამამთავარმა ართაონ სერგის ძე მათევამ წარმოადგინა ამავე შინაარსის პიესები, როგორც მაგალ. „Юдиѣ и Олофернъ“, „Эсфиръ“, „Алексѣй Божій человекъ“ და სხ.). ჩვენა საბედნიეროდ და სიმატლის დასამტკიცებლად, დარჩა მაშინდელი წარმოდგენების იაფ-ფასიანი ბილეთები, რომლებზედაც ჰქონდა: „შაური ფრა, გაბრიელ მაიფის“. გაბრიელი სწავლული და განათლებული კაცი ყოფილა, სკოლანია რამდენიმე ევროპული ენაც და კარგად რუსული. იგი ფრიად



ა. შანშავილი

შემთარგმნელი



ივ. მაჩაბელი



ი. ბაქრაძე



ი. მაქავარაძე

დიდი მეგობარი იყო ირაკლი II-სა. 1795 წელს, თბილისის დაღუპვის დროს, მას ებარა არტილერია. საერთო ბრძოლის დროს, როდესაც ქართველები ლალარით დამარცხდნენ, იგი სპარსელებმა მოწმენსავით აპყუწეს ხმლით ზარბაზანზე - მამულის თავდადებისათვის. თანამედროვე მღვდლის, იოსებ ამერიძის სიტყვით, გაბრიელი სდგავდა წარმოდგენებს ჯერ მესხიშვილების სახლში, შემდეგ ოზბელიანების, მელიქიშვილებისა და სხ. გაბრიელის სიკვდილის და თბილისის აოხრების შემდეგ ქართული თეატრის საქმეში გაბრიელის კვალს მიჰყვნენ: დავით ბატონიშვილი, დ. ევლიშვილი, ჩოლოყაშვილი და სხ. ამათში დრამატიული ნიჭით იყო აღჭურვილი დავით ავალიშვილი. მან დასწერა „თეიმურაზ II“ (1790 წ.) იმავე წელს „რქის მატარებელი“, „ღედა რაყიფის ქალისა“, „უხვრობა ჰკედართა“ და „ქღწი და უხვი“. ჩოლოყაშვილს ეკუთვნის 1795 წელს კახაფხულზე რასინის პიესის „ეფაქჩის“ თარგმანა.

მსახიობებს თეატრისათვის იძლეოდა თავადობა და სამეფო სახლი. 1800 წ. ჩავისვენდა არსებობის მჭუტავი ვარსკვლავი და ჩვენი ცხოვრების ნიადაგიც შეიცვალა. ამის შემდეგ დადგა დაქუცმაცების ხანა, მაგრამ ამ დროსაც არ შეწყვეტილა სათეატრო მუშაობა. ამ დროს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ თეატრის წინაშე ცნობილ ტკბილს მგოსანს თ. ალექსანდრე ქავჭავაძეს. მას ეკუთვნის რასინის პიესის თარგმანი „ცინა“ (1810 წ.), ვოლტერის ორი ტრადედია „ზიარა“ და „ალზირი“ (ლექსად 1820 წ.), „მეროპა“ (1825 წ.), „მუჰამედი“ (1828 წ.) და „ერაკლე“ (ლექსად 1830 წ.). ვილაცას უთარგმნია „კრინის მასკა“. ალ. ქავჭავაძის შემდეგ დიდი ღვაწლი მიუძღვით: შექსპირის ტრადედების მთარგმნელს დიდებულ მამულიშვილს დ. ყიფიანს, თ. ალ. ჯამბაყურ-ოზბელიანს და სხ. უკანასკნელმა დასწერა შემდეგი პიესები: ოთხ ოქმედებიანი ტრადედია „ბატონის შვილის ირაკლის პირველი დრო“ და „დავით აღმაშენებელი“ 4 მოქმ. დრამა. ამავე ხანებში სათეატრო მოღვაწეთი ითვლება მლ. ს. მესხიშვილი, იგი თეატრის დიდი მოყვარული იყო და პიესაც კი დაწერა სახელდობრ „ყვარყვარე ათაბაგი“, რომელიც დააბეჭდინა გ. ერისთავის სახლით ჟურნალ „ციცქარში“ 1853 წ. თითქმის ამავე ხანში გამოდიან: ალ. გარსევანიშვილი (კომედია „ვაი, ცოლები დავკარგეთ“), დიმიტრი მდგენელუხუცესიშვილი (ორ მოქმ. კომედები: „კატა აწონა“, „ჩემი ქმარი სხვას ირთავს“, „ეკიმბაში“ და სხ.) და მეიფარიანი (კომ. „ქმრები გავაბით მახუში“), ამავე დროს ახლოვდება ბრწყინვალე ხანა ქართულ თეატრისათვის, ხანა გ. ერისთავისა, იმ ერისთავისა, რომელიც შუქურ ვარსკვლავივით მოველინა მშობლიურს სცენას და ბრწყინვალე და ძლიერმოხილი სხივებით ვააცოცხლა ჩვენი დრომოქმული ცხოვრება. გ. ერისთავი იყო ის ანგელოზი, რომელმაც უკუდავი სული შთაბერა თეატრს და თვის მიერ მტკიცე საფუძვლის ჩაყრით, მოახწევინა დღევანდლამდე. როდესაც გ. ერისთავი გამოვიდა სათეატრო ასპარეზზე, ქართლის დამინებული სამეფო“ სახარელ სურათს წარმოადგენდა. ერთ მხრივ განისობდა დრამატული თავად-აზნაურობისა, გამოწვეული ღვინის ძალიდან ცეცხლით და მინავარი მხეტთა ყმუილისა, ხოლო მეორეს მხრივ ჩუმი ტრემლი, ჩუმი გოდება სვე-უბედურ. გლეხობისა! აი, სწორედ ამ დროს აღმოაჩნენდა ნუგეშის მომცემი ვარსკვლავი, რომლის სხივები

მთარგმნელნი



გ. ყიფიანი



ა. ხანაზარცი



განდევლი



ალ. იმედაშვილი



დ. მესხი



ო. პოლუმორდვიოვი

ახლაც შორეულ წარსულიდან გვეფინენ სითბოს მოუკლებელს.

მაგრამ, კ. მესხის ლექსისა არ იყოს: ვით ცალ მარგილზე ლოზე წნულისა უხსნამარგილოდ არ მოიწვენება, ისევე ძალა ერთი კაცისა დიდ საქმისათვის მჭრალადა ჩნდება... სწორედ ესევე იყო გიორგი ერისთავის საქმე, თუ მას არ მიპშველებოდენ ზურაბ ანტონოვი და მეფის მოადგილე ვორონცოვი, იგი ვერ აღადგენდა ქართულ თეატრის ჩამოკვდარ ძალას. ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ ვორონცოვმა დიპლომატიურ თვალსაზრისით რუსულ თეატრთან, აგრეთვე გამართა ქართული თეატრიც და რომ 1850 წ. წარმოდგენილი იქმნა გ. ერისთავის ორიგინალური პიესა „გაჟურა“, რომელმაც არსებითი აღტაცება გამოიწვია თანამედროვე საზოგადოებაში. ჩვენ აქ აღარ შევუდგებით ლაპარაკს გ. ერისთავის ეპოქაზე, რადგანაც ამაზე ბევრი დაწერილა და ბევრიც გავიგონია.

გ. ერისთავის შემდეგ ქართული თეატრის საქმე ცოტათი შეფერხდა უსახსრობის გამო, მიფურჩხდა და დივიწყებს მიცა, მაგრამ 1879 წელს ნ სექტემბერს, კვლავ განახლდა და აღორძინდა დამწვარ ფენიქსისავით.

... და, აი. ამ დღიდან დღევანდლამდე ქართულმა თეატრმა წინ წაიწია, იგი უკვე შეიმოსა შარავნდღით, იგი დღეს ძალუმად და უხვად არის განათებული და მისი სხივიც გამოცემული დიად ძალისგან არ ჩაჰკრება, ვიდრე არსებობს ქვეყანა, ვიდრე ჰსცოცხლობს მისი სამშობლო!

გ. ლეონიძე

რეჟისორნი



მ. ბეგუთაშვილი „სამშობლოს“ პირველად დამდგმელი



გ. თუმანიშვილი



გ. სულხანიშვილი



გ. შალიკაშვილი



შალვა დადიანი ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობის ერთი შეთაურთავანი



სუფლიორი ს. გალუსტაძე



ა. ვუჭუნავა



ნ. გვარაძე (ბაქოსი)



სცენარიუსი ა. თამაზიშვილი



ს. სვიმონიძე



ი. ივანიძე



კანდრონიკაშვილი



მ. კაველი



კ. შათირიშვილი

ქართულ დრამატიკულ სამოგადოების პირველი გამგეობა



საზინდარი
გ. თუშანიშვილი



თავმჯდომარე
ილია ჭავჭავაძე



თავმჯდომ. ამხანაგი
აკაკი წერეთელი



მიდიანი
კ. ყიფიანი



მ. კ. ყიფიანი



რ. გრისთავი



ნ. ქანანაშვილი

თავსმჯდომარის წინადადება

დრამატიკულ კლასების შესახებ*)

ჩვენ არა გვყავის არც დრამატიკული მოარ-
შიყე—ვაფი, არც დრამატიკული არტისტი ქა-
ლი, რის გამოც არ შეიძლება წარმოდგენა
ქართულს სცენაზე არამც თუ დრამისა, არა-
მედ რომელიმე შესაძინევე კომედიის.

ამას გარდა ქართულს დას ეტყობა ისე-
თი სიმცირე მოთამაშეებისა, რომ ერთი-ორი
მას დააკლდეს, წარმოდგენა იშლებს.

უმეტესი ნაწილი მოთამაშეებისა ხშირად
იცვლება სცენაზე და იმ მცირე დროს, რო-
მელსაც ის ხმარობს სათამაშოდ, ის რჩება
უხელმძღვანელოდ, სცენის შეუჩვეულობა ეტ-
ყობა, და წარმოდგენის მწყობრობას არამც
თუ არ ჰმატებს რასმეს, არამედ ბევრს აკლებს.
ამის გამო თითქმის ყოველ ქართულს წარმოდ-

გენას ეტყობა მოუშაადებლობა მოთამაშეებისა.

ამ გამოუცდებლობის ნიჭის გასაფარჯიშათ
უმეტველად საჭიროა სკოლა. სკოლა ამას გარდა
გაამრავლებს მოთამაშეთ: ვინც ეხლა უხელ-
მძღვანელოდ გულს იცრუებს სცენაზე და ჩქა-
რა სტოვებს იმას, ის სკოლაში შეისწავლის და
შეიყვარებს სცენას; ვინც ეხლა ვერ ბედავ
პირდაპირ გამოსვლას სცენაზე მოუშაადებლრე,
ის ხალისიანად მიიღებს მონაწილეობას სკო-
ლის წარმოდგენებში. ვისაც ეხლა თავის მდგო-
მარეობის გამო ეშინია აქტიურობის მუდმივ ხე-
ლობისა, ის არ ითაკილებს სკოლაში გაეარ-
ჯიშებას თავის ნიჭისას.

სკოლას, გარდა სწავლისა, შეუძლიან წარ-
მოდგენების გამართვა. სკოლა თუ გაიყო ოთხ
კლასსათ, ანუ ოთხის მასწავლებელის დასათ
და ყოველმა დასმა თვეში ერთი სამაგალითო
წარმოდგენა მოახერხა, მაშინ ჩვენ გვექნება
ისეთივე რიცხვი წარმოდგენებისა, როგორიც
გვაქვს ეხლა სამუდამო დასისაგან. კლასისი უფ-
როსად უნდა იყოს ან დახელოვნებული არ-
ტისტი ან რეჟისორი, ან სხვა მკოდნე სეე-

*) ქართ. დრამ. სახ. საქმე № 3 (დასაბამიდან
№ 4), 28 ნაწენისთვე 1890 წ.—გებუდათ უცვლელად.
რედ.

ქართულ დრამატიკულ სამოგადროების ახლანდელი გამგეობა,
რომლის თაოსნობითაც მოწვეულ იქნა ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა



ხაზინადარი
ა. ავალიშვილი



თავმჯდომარე
კ. თუშანიშვილი



თავმჯ. ამხანაგი
ნ. ერისთავი



მდივანი
ო. გედევანიშვილი



ო. ბარათაშვილი



მ. მესხიშვილი



მ. მიქელაძე



დ. ლუმბაძე (კანდ.)

ნისა, ჩვენის მწერლობისა და ენისა: უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეული იყოს პრაქტიკულ სწავლისათვის; ამგვარად სკოლა გარდიქცევა სამაგალითო წარმოდგენების რეპერტიუბათ და უმთავრესი როლის ასრულება შეიძლება იკისროს თვით მასწავლებელმა.

მატერიალურ მხრით შეიძლება სკოლა მოეწყოს შემდეგ გვარად: მოსწავლეებისაგან არაფერი სასყიდელი არ უნდა ავიდოთ. მასწავლებლების დასაჯილდოებლად უნდა ვადილოს მთელი წმინდა შემოსავალი იმ წარმოდგენებისა, რომლებსაც ისინი გამართავენ. თუ მხნეობამ, ნიჭმა და ცოდნამ ვერ უშველა მასწავლებელს მოეზინდა თავის წარმოდგენაზე საკმაო რიცხვი მაყურებლებისა, ერთი ნაწილი მასწავლებლის სასყიდლისა შეიძლება იკისროს დრამატიკულ საზოგადოების კასსამ; ამავე კასსამ უნდა იკისროს ყველა წვრილი ხარჯი, რომელიც კი სკოლას მოჰყვება. ხარჯი ეს დიდი არ იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში: 1) რო სკოლა რეპერტიუბს ხასიათს დაამწყვდეს და ცალკე სადგური მას არ მოუღდება, საკმარისი იქნება მისთვის თეატრის სცენა; 2) რადგან

მოწაფეები უსასყიდლოდ მიიღებენ მონაწილეობას წარმოდგენაში, წარმოდგენას დიდი ხარჯი არ ექნება და შემოსავალი კი მაყურებლებისაგან მის, როგორც სამაგალითო გაკვეთილს, ექნება საკმარისი მასწავლებლისათვის. ამ მოსაზრების გამო სკოლის შენახვა საზოგადოებას დასის შენახვაზე არამც თუ არ გაუძვირდება, არამედ გაუთადდება. ჩემის აზრით საკმარისი იქნება წელიწადში 500—1000 მან.

მასწავლებლების შოვნა არ გავვიჭირდება, რადგან გამოცდილს არტისტებს და სცენის მცოდნე მწერლებს იმ ოთხიოდ კლასისათვის, რომელიც ჩვენ გვიჩინდა დავაარსოთ, ყოველთვის მოვიპოვებთ და რაც შეეხება მოწაფეების პოვნას, ეს უნდა მივანდოთ ჯერ თვით მასწავლებლების მხნეობას და ბეჯითობას, და ამას გარდა გამოვაცხადოთ გავთვით ჩვენი აზრი და გავზეთის საშუალებით მოვიწვიოთ სცენის ყველა მოყვარე.

მხოლოდ ამგვარად შესდგება მომავალში ნამდვილი დასი არტისტებისა, რომელიც არტისტულად წაიყვანს ქართულის თეატრის საქმეს და მოიპოვებს პუბლიკის სიყვარულს და შემწეობას.
გ. თუშანიშვილი

სახალხო თეატრის მოღვაწენი

მიწის მუჟას

მუშევ კეთილო! შენ ზოგათავან „ხეპრე“ რომ გქვიან, ჩემი გრძნობა და მისწრაფება შენ შემოგტრფიან... შენ გიგალობენ ანგელოზნი ჩემი სულისა, რადგან მკურნალი ისევ შენ ხარ ბედით კრულისა!.. შრომის შვილი ხარ, შრომის მამა, შრომის ხატება, შენშა ქვიყნის სვე-გვირგვინი და აღმატება. ქვეყნიერების მხოლოდ შენ ხარ მთელი დიდება, რადგან ქვეყანას ეგ მარჯვენი კიდემდე სწვდება!.. წმინდა საქმით ხარ სიღარიბის მტკიცე მებრძოლი, რასშიც არა გყავს შენ ბადალი, ცალი და ტოლი!.. ქება შენს საქმეს, და დიდება მაგნაირ ბრძოლას, რომ შენ მაგ ბრძოლით არაეის ჰვერი შიშსა და ძრწოლას, რადგან ბრძოლაში სისხლს არა ჰღვრი ადამის ძისას და მით არ არღვევ ქრისტეს მცნებას.—კაწონს ზეცისას!.. უსისხლო მსხვერპლის ხარ ღვთისადმი შენ შემწირველი: შრომის და აფელის, რითაც ჰხარობს მთა, ტყე და ველი! ასხურე მიწას წმინდა ოფლი, ვით ნამი ცისა, კვლავ ააყვავე მით ნაყოფი დედა-მიწისა, კვლად აღმართე დროშად შენი ჰური და ღვინო, კაცობრიობის სასიკაცებლო, ყოვლად საღვინო!..



ნ. ციციშვილის ასული



მ. დემურიასა



ნ. გვირიაძე

გწამდეს კეთილო, მხოლოდ შრომა და სიყვარული, — იმაში არის შენი ბედი, ნისლით ფაქული, მასშა შენი მომავალი სხივთა კრებულო, იქ ქედს მოიდრეკს ჟამი შენზე გააუთრებულო, იმ სიყვარულში მოიპოვებ სრულს ნეტარებას, თუ გაიგონებ ამ ძმურ რჩევას და აღსარებას!..

ნოშრევანიძე



ს. რომანიშვილი



ი. ზურაბიშვილი



ლ. შველიძე



გიორგი ჯამბურია

მუსიკა და ქართველი მუსიკოსნი

(დასაწყისი იხ. „თ. და ც“ № 12)



ი. კარგარტველიძე

აღნიასშვილის ხორბლანს გამოვიდა ი. გ. კარგარტველი. ეველამ ვიციტ ვინჩ არის ბ. კარგარტველი; მისმა უნგარო მუშაობამ ამ ანჰარტსზე ჩვენ თვალ წინ გაიარა და დღესაც, იმ შჰანელ და უუქლმრო დღისი შემდეგ, რაც მას უბედურება შეემთხვა, განსხვავებული კაცი, ფარს სქელდნარ აკლებს.

სამუსიკო განათლება მისკვამში მიიღო; ჯერ კიდევ აქ ეოფისი დროს იგი მონაწილეობდა რუსეთში პირველად გამართულ ეთნოგრაფიულ კონსერტში, რომელშიც მთავრო მისკვამის ეთნოგრაფიულმა სსხოკადლობამ. მისკვამში ეოფისი დროს, ქართველ სტუდენტების ერთ ჯგუფში, სადაც კარგარტველი დახლოვებული იყო, დაიბადა ახრი სამუსიკო სსხოკადობის დაარსების, რომელსაც უნდა ეზრუნა ქართულ ხალხურ სიმღერების აღორძინებაზე; ამ ჯგუფის წევრებს და გერძოდ ექიმ დამბაშისსაც, უნდაოსან სსხოკადობის დაარსების იდეა, კარგად უნდა ასწავლიდნენ. მისკვამიდან ბ. კარგარტველი სამსობლობაში რა დაბრუნდა, აქ მთავრად თანამოსახრენი, 1902 წ. თავის ბინაზე მთავრად იგინი და თავისი განზრახვა განუხიარა, რამდენიმეწილიობის შემდეგ აირიბის კომისია და მიანდეს წესდების შედგენა. ამ კომისიაში იყვნენ: ბ. ბ. კარგარტველი, მირიანაშვილი და ყარაშვილი. შემუშავდა წესდება და გუბერნატორს წარუდგინა.

1903 წ. წესდება დამტკიცდა და მას აქეთ ამ წესებით მოქმედობს აწ არსებული „ქართული თეატრონიკული სსხოკადობა“.

ბ. კარგარტველისეკ თაოსნობით დაარსდა 1910 წ. ქართულ ხოროს სსხოკადობა „სითორი“, თუმცა კი ამ სსხოკადობის მოღვაწეობა დღემდე არაფრით არის თვალსაჩინო. კარგარტველამ დასწერა რუსულს ენაზე მოკლე ისტორია ქართულ მუსიკას, შეადგინა კრებულები ხალხური სიმღერებისა, დასწერა ქართული რომანსები, აქვს აუტრებული სსხოკადობის რუსულსა და ქართულს ენაზე ქართულ მუსიკის შესახებ.

მის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები და თქმულებანი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დრო-გამო-

შეებით დღესაც იბეჭდება ხოლმე, იგი ეველას წაუკითხავს და იცის რა დღისი არჩევითა და დავიერებით არის შეკრებილი.

ამეკ ხორბოში მღეროდა კორ. მადრასე; სამუსიკო განვითარება თუმცა არსად მიუღია, მაგრამ სიმღერა-გალობის მღვდელე კი ითვლებოდა. მის გულწრფელად უუგარს ქართული მუსიკა; კ. მადრასე დასწერა სსხიმღერო ლექტი „ჩემს ვარსკვლავს“ და სს.

აღნიასშვილისეკ ხორბოში მონაწილეობას იღებდა ბ. ზ. ჩხიკვაძე; იგი სწერდა ქართულ მუსიკის შესახებ გაზეთებში. შეადგინა ხალხური სიმღერების კრებული „სლამური“. თუმცა სამუსიკო განათლება არსად მიუღია, მაგრამ დღეს იგი ლატბარბის ქართულ თეატრონიკულ ხორბოს. აქვს აგრეთვე დაწერილი სსხოკადობის სსხოკადობები.



ზ. ჩხიკვაძე

მუსიკის და მას აქედ თითქმის ექვ ცხოვრობდა. მ. ბაღანიჩიკაძემ დასწერა რომანსები „შენ გტრფი მარად“ და „ნანა“. ამობენ, მანვე დასწერა ობერა „თამარ ცბიური“. ზოგიერთა ადგილები ამ ობერიდან ქართულ სსხოკადობასაც მოუმიქნა, ხოლო მთელი ობერის დაბეჭდვას და დავდმას სსხოკადობა დღესაც მოუმიქნადა მოვლის.

ბაღანიჩიკაძეს გვერდში უნდა ამოუყენებოთ ფ. ქორიძე ფ. ქორიძის დიდებული ხმა ჭქინდა. სიმღერა შეისწავლა იტალიაში. ერთ დროს იგი რუსულ ობერის დასში იღებდა მონაწილეობას. დასწერა ქართული რომანსები, სიმღერები; უფრო თვალსაჩინო ნამუშაური ქორიძის ათის სსხოკადობის სსხოკადობების კრებულები იმერული კილითი „ცისკარი“ და „მწუხარი“. სწერდა აგრეთვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქართულ მუსიკის შესახებ.




ფ. ქორიძე

ი. მარალიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)





ალ. ივ. სარაჯიშვილი (1851—1914)

გარდაიცვალა 1 ივნისს.

ქართული თეატრის მოღვაწენი ქართლში

არის ხოლმე ერის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როცა იგი აღფრთოვანებას განიცდის, უდგება განახლებისა და აღორძინების ხანა; მოვიხსნის მას ზარის რევეა, ფხიზლდება, საერთო ფერხულში ყველა ებმება და სიხარულის ღაღადი გაისმის ყველგან. ესეთი მომენტები რომ არ იყოს, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, განსაკუთრებით ცხოვრება კართების ქვეშ მყოფი ერისა? ასეთი აღმაფრთოვანებელი ხანა იყო ჩვენს ცხოვრებაში—სამუდამო ქართული თეატრის დაფუძნება საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1879 წელსა. თეატრის დაფუძნების იდეა არ შეწყვეტილა ჩვენში, იგი ნელ-ნელა იზღებოდა და ღვივდებოდა ხალხის გულში, დედა-ქალაქს ბანს აძლევდა პროვინციაც; განსაკუთრებით ქუთაისი და ქართლში გორი. ჯერ მინამდე თბილისში დაფუძნდებოდა თეატრი, გორში შესდგა საქმოდ ვრცელი მოყვარულთა წრე, რომელიც კანტიკუნტად მართავდა ხოლმე წარმოდგენებს. მაგრამ როცა დედა-ქალაქში სამუდამო თეატრი დაარსდა

სამუდამო დასით, მაშინ გორელთა მოყვარული წრე აღფრთოვანდა, ხშირად იწვევდა ქართულს დასს და მასთან ერთად მართავდა წარმოდგენებს გორში, ცხინვალში, სურამში და ხაშურში. გორის მოყვარულთა წრე აღარ ხუმრობდა, იგი ნამდვილ დასს წარმოადგენდა და საპსუხოსმგებელ პიესებს სდგამდა. ამისათვის სცენა იყო საჭირო. გამოჩნდნენ გულშემატიკივარი: ნიკო დიასამიძე და ალალო თუთაივი. ამთ გამართეს თავის ხარჯით გორის საქალაქო ბაღში დანგრეული როტონდა, გამართეს სცენა, დადგეს სკამები, ბალი გაასუფთავეს, მიწა მოაყარეს. ამ მოწყობაში თბილისის დრამატული საზოგადოებამაც ცოტა დახმარება გაუწია: ვანო მაჩაბელმა მოაწოდა ხუთმეტრი თუმანი. როტონდა მტკვრის პირას იყო, დაშორებით ქალაქზე, ამიტომ თუთაივი იკისრა თავის ხარჯით ყარაულის დაყენება, რომ როტონდისათვის ყური ეგდო. ოთხმოციან წლებში ნიკო დიასამიძემ სამეფო ქუჩაზე ააშენა სახლები და ერთი დიდი დარბაზი დაუთმო თეატრსა უფასოდ, ბოლოს აქ მოაწყეს სცენა; თბილისის ქართულმა თეატრმა იაფად დაუთმო ზოგიერთი რამ საჭირო დეკორაციები, ბუტაფორია, ფარდები.

მოყვარულთა სამუდამო დასს შეადგენდა: ქ-ნი მარიამ კერესელიძისა, სოფია ლომოურისა, ნინო მაგლობლიშვილისა, კესარია ტატიშვილისა. (ნ. ტ. გაბუნია-ცაგარლის და), ბარბარე კარგავისი (მოზლოკელი ქართველი ქალი) და სხვ. ბ-ნი: კატე სანთლიკუდაშვილი, პავლე ბურჯანაძე, შიო დავითიშვილი, დათიკო ქართველიშვილი, სანდრო ქვლივიძე, სოკრ. მაგლობლიშვილი, სვ. გოგლიძი და სხვ. ამ დასს თვისი გამგებაც ჰყავდა, გულშემატიკივარი, რომელნიც ხელს უმართავდნენ სიტყვით თუ საქმით: ეკატერინე ფურცელაძისა, მ. ყიფიანის, ნიკო ლომოური, მათე კერესელიძე (აქ ანგარიშში მოსტანი არ არიან ნ. დიასამიძე და ა. თუთაივი). ვრცლად გორის სცენის მოღვაწეთა შესახებ მქონდა მოხსენებელი ჩემს მოგონებებში, რომელიც დაიბეჭდა „თემის“ 1911 წ. მეოთხე ნომერში, ამიტომ აღვნიშნავ აქ მხოლოდ მოკლედ ამ დასის მოღვაწეობას სოფლად. ზოგიერთნი მათგანი ზაფ-

ხულობით სოფლადაც გადიოდნენ და მართავენ წარმოდგენებს ხალხისათვის, მაგ. ხიდის თავში (გორს ახლო), რეხეში ასევე ერისთავის სახლში, მეჯვრისხევეში, აქ განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსე ნათაძე და თეოდოლე კნდელაყი იყვნენ მასწავლებლებად, რომელნიც ძალიან ხელს უწყობდნენ წარმოდგენების მართვას. ცხინვალში, ქარელში, ხაშურში და სურამში. ამ ადგილებში თბილისის დასს მივდევდით ზოგიერთი მოყვარულნი. ხშირად კერძო სახლებშიაც სოფელთა თანადსწრებით კითხულობდნენ რამე მოთხრობებს, ხალხურს სცენებს, მაგ. მაკინე ამირაჯიბისას ს. სალოაშენში; ნიკო დიასამიძისას სოფ. სკაქაშეთში და ბრილიში.



.1 სოფ. მგალობლიშვილი (წვეს), 2. ნ. ლომოური, 3. მათე კერესელიძე, 4. პაველ ბურჯანაძე 5. სიმონ გოგლიჩიძე.

დიად, ოთხმოციან წლების გორის ინტელიგენციას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი საზოგადოების წინაშე წარმოდგენების მართვით, როგორც გორში, ისე სოფლად. მათგან გაბნეულმა თესღმა ჰპოვა ნაყოფიერი ნიადაგი, უხვად გამოსცა ნაყოფი და აი დღეს თითქმის ყველგან მოყვარულთა დასებია შედგენილი და მრავლად იმართება წარმოდგენები. ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ შებორკილია,

დღეა-ენა შეღსაჯოებულოა, მასწავლებლები ორქოფობენ, მღვდლები გადაშენდნენ, მღვდლები გადაგვირჯუოდნენ, ამიტომ ჩვენი ერთი, ქართული ენა განიცდის შექორფებას. ერთად



ნ. დიასამიძე



ა. თუთავეცი

ერთი მხსნელი ჩვენი დღეს არის ქართული თეატრი— უსათუოდ უნდა შესდგეს ხალხური მოძრაიე დასი, რომელმაც დაბა-სოფლად უნდა გამართოს წარმოდგენები და ჩვენი ხალხი გაათვითცნობიეროს, გაუღვიძოს საშობალოს სიყვარული და მისთვის თავდადება. აქ საქმეს დახანება არ უნდა და იმედია დრამატურგთა და მსახიობთა კრება რამე წამალს დასდებს ამ დღად საქირა საქმეს.

ა. შიკაშვილი

„იასოზნის ოინეზი“

ვოდევილი ორ სურათად

(დასაწყისი იხ. „თ. და ც.“ № 13)

თეიმურაზი. (წამოწვებას)

ივანე. ცოტა გაფლარათლით, ბატონო. (ქამარს შესისის, ჩექმებს და ჩოხას გახდის, ჯხალუხს გაუსისის. თეიმურაზს მუცელი გამოუფრადება და გაღმოსუეული ჰერანჯი ამოქრება) კაი კაცი უნდა ჩანდეს ეს ჩვენი მასპინძელი. რაფარც ჩამოვდვით ფეხი პარახოთიდან, მაშინათვე ჩვენსკენ გამექეპნა კაი ნათესავივით და აღარსად აღარ გავგიშვა, ჩემთან წამოღითო და ახლა ალბათ სადილს გვიმზადებს, რაც გენებოთ, მამთხოვეთო.

თეიმ. თუ მეწვია ჩემს სასახლეში, სწორით მეც მაგიერ პატრისა ვცემ. მარა, მარა, ივანე, ხომ არ გვიცნობდა, რათ დავგზაბოთ აქ გულიანაო?

ივანე. იიმე, ბატონო! შეხედულემა გაქ იმისთანა, რომ... რომ... რომ... სწორით მეფური, თქვენმა სიცოცხლემ, და ყველას ესახელე

ბა თქვენი სტუმრობა. ამისთვისაც სახელია და იმიტომ დაგვაბატია.

თემი. (სიამოვნებით იღიმება) მეფური ჰა, ივანე, მეფური.

ივანე. კი, შენ ნუ მიმიკვდები. თქვენი მხარბეკი, ბატონო, სწორეთ ერთ ღრუბენიათ ღირს, თქვენმა სიცოცხლემ. მერე სახელიც დიდი აქვ გაყარდნილი, ბატონო.

თემი. (მსარბეკებზე ისეღება) მხარბეკი, ივანე, მხარბეკი სწორეთ რომ გვარიანი მაქ, გვარიანი.

ივანე. გვარიანი კი არა, ბატონო, და ასე მოვახსენებ, რომ სწორეთ ერთ რამეთ ღირს, თქვენმა სიცოცხლემ. (რამდენიმე წანს სიჩუმეა. ივანე ფანჯარაში ისეღება) ი ვარანკოვთან რა გამევიარეთ წელან, ბატონო, ახა ისიც კი ვაჯკაცი ყოფილა; თქვენმა სიცოცხლემ.

თემი. კაი ვაჯკაცი იყო, კაი, ივანე!

ივანე. ასე გამიგონია, ბატონო, რომეო, კანულის ძალითაო რაც რო კაციაო, ვთქვათ სისხოთი და სიმაღლით, პამეტნიკი იმისი ნახევარი უნდა იყოსო, მეტი არ შეიძლებაო და იმხელა პამეტნიკში თუ მარტო ნახევარია ის მა-მაცხოვრებულის შვილი, ცოცხალი სწორეთ მოსანახავი რამე იქნებოდა, თქვენმა სიცოცხლემ.

თემი. კარგი მოსული ვაჯკაცი იყო, ივანე, კარგი.

ივანე. ერთი რამე კი არ მომწონს, ბატონო! იმხელა ვაჯკაცი ქოსა ყოფილა, — არც წვერი აქ და არც უღვაში თქვენმა სიცოცხლემ და იმას რომ თქვენი დარბაისელი თეთრყორმიზა წვერულვაში მიცა იმ პამეტნიკზე, სწორეთ რო ძალიან დამშენიერდებოდა, თქვენმა სიცოცხლემ.

თემი. (წვერებზე დასხედავს და ხედას გა-ისჯამს) ჰო, ჰო, ჩემო ივანე, კი დამშენდება... მეც კი დამშენდება მხარებზე ღე...ღერანალის აპულატები, ჰა, ივანე!

ივანე. იიმე, ბატონო, ახლაც დამშენებული ხარ და მაშინ ხო მთლათ დამშენებული იქნებოდი, თქვენმა სიცოცხლემ. (შემოვა მაქსიმე. შავიდან შუაზე გამოსწევს, სოფრას გადაღატებს, ჰურს, ევვლას და წავაილს დაწვეობს)

თემი. იიმე, ჩემო სვიმონ...

მაქსიმე. (გაუსწორებს) მაქსიმე ვახლავართ, ბატონო!

თემი. ჰოო, ჩემო მაქსიმე! რითი გადა-ციხადლოთ იმდენი პატივისცემა!

ივანე. შენისთანა დიდებულ კაცზე, ჩემო ბატონო, არაფერი დევკარქება არც ჩვენს მაქსიმეს და არც სხვას, შენმა სიცოცხლემ.

თემი. თუ მეწვია ჩემს სასახლეში, სულ ღვინოში ვაბანავებ, ღვინოში მაშეა გოქივიო. (მაქსიმე გაღის)

ივანე. სწორეთ რო კაი კაცი უნდა იყოს ეს ჩვენი მაქსიმე. ესეც კია, ბატონო, რომ შეგატყუთ თქვენი ღირსება და იმიტომ ცდილობს, თქვენმა სიცოცხლემ.

თემი. აზნაურიშვილი იქნება ნამდილიათ ჰა, ივანე!

ივანე. კი მოდგამს კეთილშობილი კაცის ელფერი, თქვენმა სიცოცხლემ. (შემოვა მაქსიმე, ორი ბოთლი დგანით, თევზით და შავიდაწე აწვეობს)

მაქ. ახა, ბატონო, მობრძანდით და მიერთვიეთ. წვადიც მალე იქნება მზათ. თუ კიდე მიბრძანებთ რასმე, ყველაფერს მოგართმევთ, ღვინის მოცემული ბევრია. (გასწავს ახარებს)

თემი. იიმე. იიმე... შე... შე კაი კაცო, თუ მასპინძელი ვართ გეიქა, სტუმარს საქმელი არ იამება.

ივანე. გვერდით მოვიჯექი, ჩემო მაქსიმე, და შევექცეთ ერთ-თ! — ღვინის მოცემული ყველაფერი ბევრია, შენმა სიცოცხლემ.

მაქ. მე არა მცალია, საქმეები მაქვს.

თემი. იიმე. იიმე, შე კაი კაცო და მამაცხონებულო, რაეა გეკადრება. შენ რომ ჩემ სა...სასახლეში მეწვიო, იმისთანა ხბოს დაგეკლამ, რომომ კამბეს ყლაპამდეს და სახლი რო მეწოდეს, თავს არ დაგანებებ.

მაქ. დაბრძანდით და მეც ვიახლებით ამ საათში. (მაქსიმე გავა, ივანე და თემიურაზი მავიდას შემოუსწებთან და შეიქცევიან)

თემი. (ღვინის დაღვეს) სწორეთ რო ჩინებული ღვინოა ჰა, ივანე!

ივანე. (სჯამს) სამარგალიტო სასმელია, თქვენმა სიცოცხლემ. (შემოაღის მაქსიმე)

თემი. ჰო, ჩემო... ჩემო სვიმონ!

მაქ. (უსწორებს) მაქსიმე ვახლავართ, ბატონო!

თემი. ჩო, ჩემო მაქსიმე! ავტო მოგიჯექი

დღევანდელ წარმოდგენის გამო ქარ. თეატრში



ნინო ნაკაშიძე ელ. ანდრონიკაშვილი

„ვინ არი დამნა-
შავე“-ს ავტორი

ფატის როლის
შემსრულებელი

გვერდში, შენც შეეჩეცი და ჩვენც უფრო გვი-
მება მაშინ. (მაქსიმე დაჯდა და შექმნიდა სკანდალს)
მეუღლე არა გაამს ჩემო... ჩემო...

მაქ. (გაწოკუნების) გახლავს, ბატონო,
სოფელში.

თეიმ. კაი; კი დაგემართოს.

ივანე. ეს ღმერთმა მინდღენძელოს დიდი
ბატონი თეიმურაზი თავისი სამარგალიტო კოლ-
შვილით და მისი სიცოცხლე და წყალობა ნუ
მოაკლოს ჩემს საწყალ თავს (სვამს), ალავერი
შენთან, ჩემო მაქსიმე.

მაქ. ღმერთმა დღეგძელი გამყოფით კოლ-
შვილით და ყველა თქვენი დამოკიდებულო-
ბით. (სვამს)

თეიმ. გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო, ჩე-
მო... სვიმონ...

ივანე. (უსწორებს) მაქსიმეა, ბატონო!

თეიმ. ჰო, ჩემო მაქსიმე! ძალიან მასპინ-
ძელი ვართ, მარა თუ მეც მეწვევი ჩემ სასახ-
ლეში, იმისთანა ხბოს დაგიკლამ, რომ... რომ
კამბეგს ყლაპადეს.


მაქ. (იფანეს) ხბო რავე ვადაყლაპამს კამ-
ბეგს?

ივანე. იმე, თითო იმხელა ხბო გამოვე
ამის ბაყევი მართლა რო სწორედ ვადაყლა-
პამს კამბეგს, შენმა სიცოცხლემ.

მაქ. (თავისთვის) ბერი სხვადანხვა ნაირი
ხალხი მოდის ამ ჩვენ გასტინიკაში, მარა ამით-
თანა ოინბაზები მე ჯერ არ შემიხვედრია.

ვ. კოჭიაშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



„მე“

ადამიანის სულიდან აღმოხდება სიტყვა,
რომელიც აცამტვერებს ოცნებას სიყვარული-
სას. ვერავითარი ჟამთა ცვლილება ვერ დაახ-
შობს მას! იგი სიმბოლოა გამოშხატველი კაც-
თა სურვილს...

აი, მოდის, მოდის ასული მშვენიერი და
მისი ღმილი იჭრება შენს სულში, დაეყრდ-
ნობა შენს მკერდს, რომლის სიღრმეში შეგუ-
ბებული ნალღელი, სეველა ყურს უგდებ მის
ჩურჩულს და გესმის: **მე** მსურს დაგწვა ალერს-
ში, **მე** მსურს დავამსგებო შენს სულში
შეგუბებული სევდის ტალღები, მაგრამ არას
დროს არ გაითხავს:—რა გსურს **შენ**?

ზიხარ ვანმარტოებით დაფიქრებული და
სცელით აღსილი გასცქერ მქმინავ ზღვას. რა-
ღაც ვაღონებს, გტანჯავს, ჯოჯოხეთის ცეცხ-
ლი ანთა შენს სულში. რაღაც გამოჯრკვევე-
ლი სურვილი გახჩობს: ამ დროს დაგწოიჭრება
მეგობარი შენს მარტობაში, დაგადებს ტლანქ
ხელს მხარზე და გეუბნება:—რას დაღვერემილ-
ხარ? **მე** მსურს გამზიარულდე.

განა ოდესმე შეგეკითხებიან:—რა გსურს
შენ, მეგობარო?

უიმედოთ ეყრდნობი დედის მკერდს და
ცრემლებით ნამავ მის კალიებს. გესმის მხო-
ლოდ:—**მე** მსურს მყავდეს ღირსეული შვილი.
დედა! დედა! როდესაც მკერდზე მიიყრდ-
ნობ შენს საყვარელ შვილს, რად არ შეეკით-
ხები: რა გსურს! რა გტანჯავს, შვილი ჩემო,
საყვარელო?
მის. ბოჰორიშვილი

მუშა პიმენ განჩილიძის სიყვავა
კოტე მესხის სამარესთან თქმული

ღვაწლით მოსილო, პატიოსანო მუშაკო,
კონსტანტინე სიმონის ძეგ!

დამწუხარებულნი შენის დაკარგვით, მგლო-
ვიარე ერთან ერთად ქართულ თეატრის მუ-
შებიც უერთდებიან საზოგადო წყუხარებას
და მავალებენ, მუხლი მოვიყარო შენის ღვაწ-
ლით ჰმოსილის ცხედრის წინაშე და უკანასკ-
ნელად გამოგვსალმო.

კვლავ ჩამოჰკრა გლოვის ზარმა, კვლავ
დაგვზნელდა ერთი მანათობელი ვარსკვლავი
ქართულის სცენისა, —დავკარგეთ დიდი დასაკარ-
გი, აღარა გეყავს კოტე მესხი. ვწუხვართ და
ვტირით, მისთვის, რომ კვლავ ვეღარ დავა-
ტკობ შენის ცქერით, ნერონისა და
სხვების ზემდიწვენით მხატვრულის ნიჭით ვან-
სახიერებით. ესტირით მისთვის, რომ აღარ გვე-
ყოლება ტკბილი და მხიარული, ზრდილი და
თავზიანი მოსალამე კოტე მესხი, რომლის

შეხვედრა ჩვენ, მუშებსაც გვიხაროდა, ვინაიდან შენი შეხვედრა მწუხარესაც სიამეს გვგვირდა გულში, რაიც ჩვენთვის ერთგვარ სიმდიდრეს შეიცავდა. ესწუხვართ, რომ მეოცე საუკუნე თითქოს განგებ ჩვენთვის დადგა, რომ ყოველ წელწად წაგვართვას თითო ოროლა საზოგადო მოღვაწენი, რომლების მაგივრობა არც ისე ადვილია. და სამწუხაროც ისაა, დიდად პატივცემულია, რომ ჯერ კიდევ დიდხანს დიდი სამსახური შეგეძლო გავგწია შენის ერისა და შენი საყვარელი სტენისათვის...

მაგრამ უწყალო სიკვდილმა და მცირე ხნის ავადყოფობამ უღროვედ დაგვიბოლა ქართული სტენა შენ მხრივ. მახსოვს ამ ორის წლის წინად შენის ოცდაათი წლის სასტენო მოღვაწეობის აღნიშვნის დღეს, მხიარულს მხიარული და კმაყოფილი შენი საყვარელი ხალხი შემოგხაროდა თავის მამულიშვილს, გაბრწყინებულს სპეტაკის შრომით. მახსოვს ჩვენის მილოციის შემდეგ სიცილით გვითხარ; მოდიო შენლო გადაგკოცნათო, და ჩვენც ცნებარებით შენთან ერთად: ის კოცნა იყო ტკბილი. დღეს-კი, დღეს იგივე შენი საყვარელი ვრი, რომელსაც შეალოე შენი ძალონე, დამწუხრებული და თვალ-ტრეფიანი დგას შენის ცხედრის წინაშე საზარის კარად. ერთი წამიც და სამუდამოთ მიეფარები ჩვენს თვალთავან... მშვიდობით, პატიოსანო მუშაკო, უკანასკნელად ვეამბორჯი შენს გაცივებულ სახეს, მაგრამ შენის ღვაწლით ხანგრძლივი და დაუმოწინარი იქნები ჩვენს გულში.

ქართული თეატრის მუშა პიმენ გაჩეჩილაძე

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

სამშრომლოში

➤ **ახალგაზდა მუსიკოსი ირაკლი ჯაბადარი,** რომელიც ამ ქაჲად პარიზშია, მომავალ ნოემბერსა და დეკემბერს ოროლ კონცერტს გამართავს (თითო სიმფონიური, თითო პიანინოთი) პარიზსა და ბერლინში.

➤ **კობე მესხის ძეგლის** დასადგმელად შემოს წირეს ვ. ავალიანმა - 100 მ., თავ. ას. გრ. არღუთინსკიმ - 100 მ., ალ. ბილ. შიხინოვმა - 25 მ., ქართველმა ფარმაკევტებმა (სია შემდეგ დაიბეჭდება) - 28 მ. 50 კ.

➤ **„სინათლე“-ს ფრანგულად** გადათარგმნა უკვე დასრულა და კასრადემ და პარიზში ფრანგულ ქურონალ „კომედისს“ რედაქციას გაუგზავნა. მთარგმნელის მოთხოვნილებისამებრ გაიგზავნა ავტორის, რეჟისორის (ვ. შალიკაშვილისა) და პიესის სურათები.

➤ **ცალკე წიგნად გამოვიდა „სინათლე“** ი. გულდენიშვილისა, გამოცემა იოსებ იმედაშვილისა. წიგნი შემკულია რვა სურათით. ჰირის 30 კ.

➤ **იზალორა ლუნკანის მოწაფე მოცეკვავე ქალნი** ამ მოკლე ხანში თბილისს ესტუმრებიან.

➤ **ზ. ფალიაშვილმა უკვე** დაასრულა თავისი ახალი ქართული ოპერა „აბესალომ და ეფრეა“, რომლის დადგმაც განზრახული აქვს შემოდგომაზე.

სომხეთს შორის

➤ **სომეხთა დრამ ს ზ-ამ უკვე** დაიწყო დასის შედგენა, ჯერჯერობით მიიწეია: ქნი მისსურიანი, ჟასმინი და არაქსიანი; ნი აბელიანი, ა. ტიანი, არაქსიანი და ფაფაზიანი.

რუსთა შორის

➤ **გარდაიცვალა გამაჩენილი მსახიობი ა. რ. არტემი,** სტანისლავსკის ერთგული თანამშრომელი და სამხატვრო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი, „სამხატვრო თეატრის პაპად“ წოდებული. ავად გახდა სტენაზე თამაშობის დროს მეორე მოქმედებაში, მაგრამ წარმოდგენა მაინც დასრულა. მასწინვე ბინაზე მიიყვანეს, დააწინეს, მერე აღარც ამდგარა, გაღიც. 16 მაისს მოსკოვის სამხატვრო თეატრის გამგეობამ გადასწვიტა, მის სახელობაზე მსახიობთა თვეშესაფარში ერთი საწოლი დასდგას.

➤ **ღლონიდე ანდრეევი** საკუთარ დასს ადგენს თავის იმ პიესათა წარმოსადგენად, რომელთაც მაყურებელი ვერ მოინადირებს ვითომდა რიგიანად დაუდგმელობის გამო.

➤ **„მეუფე ურიათას“ წარმოდგენის** ნებას არ აძლევენ, მაგრამ სტენაზე წაკითხვას კი არ უშლიან. დალსკიმ უკვე შეადგინა დასი 20 კაცისაგან და ამ პიესის წაკითხვის წყვედილით მოკლე სტენაზე. სტენას განანთებენ რეფლექტორებით. ამბობენ, ასე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს მსმენელ-მაყურებელზეო.

➤ **გასაოცარი დაზღვევა შემოიღეს** ზოგიერთ სტენის ქურუბით. მოცეკვავე ქალმა პავლოვისამ დააზღვევა თავისი... ფეხები 150,000 მან., მ. ნ. კუნენკოვისამ თავისი... „სილამაზე“ 50,000 მან., ხოლო ხმა—100,010 მან.

➤ **ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუენი** ესპანისა გაემგზავრა დასასწავლებლად და სამკურნალოდ.

➤ **კ. მარჯანიშვილს,** რუსეთში სახელგანთქმულ რეჟისორს, სუხადოლსკისთან უთანხმოება მოუხდა და განწორდა.

➤ **მხატვრული ოპერების (პიანკოვსკიას) დირექციამ** საზღვრულ და მომავალ საზამთარ სეზონებისთვის მეორე რეჟისორად მიიწეია ქართულ თეატრში რეჟისორის თანაშემწედ ნამყოფი შაქრო ბერძენი (ბერიშვილი).

➤ **რედაქციისგან:** ამ ნომრისათვის შეეკითხი ზოგიერთი კლიმე ვერ მოგვისწერეს, აგრეთვე ამ ნომრისთვის აწყობილი წერილები: „სამტრედიის წარმოდგენები“, „ხონის სათეატრო საქმეები“, „სქესობრივი ცხოვრება და ბელოენება“, „ქართველ მწერალთა წერილები“, „იმერული სტენა“ და სხ. უაღვილობის გამო შემდეგვისთვის გადაიღია.

სოფელკვირკოსი საზოგადო-სალიტერატურო, სთეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი



იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. ჟურნალში დაბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დიხასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი. ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარეშ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, გეოსანნი და მსატკარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ., (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ.. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სიონაზის“ სტამბაში) დიდით 10—2 სათამდე, სადამოს 5—7 სათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифლისь, ред. жур. „Театри да Цховреба“ იოსიფ იმედაშვილი.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.

წელიწადი მეოთხე **თეაი** წელიწადი მეოთხე
საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
ბაშაოლის ორწამბათობით

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ 2 სახეჯარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აქაქის პოემა „რაზა-ლაჩხუმი“, რაჭა-ლეჩხუმში მოსი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) ნ. ბ. ლუბროვსკის ოხსულებას „ამ-გზებზე ბეამლი“, რომელიც საკუთრად „თემი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი“-ს რედაქციაში (ოლაგა ქ., სახ. დიასამიძის, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთ თვით—25 კ. კონტორა ღია ყოველდღე დღის 10 საათიდან 1 სათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისის გარეშე 40 კ. მისამართი: Тифლისь, Ольгинская № 4, д. Диасамидзе, редакция газ. „Темі“.

რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე

იმერეთი ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტ გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით
წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბახი, ცალკე ნომერი—5 კ.

სახელმწიფო გარედაცვლით—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
მისამართი: Кутаись, ред. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ქეილიძე

ბაშაოლის ჟურნალში 3 მარტიდან ორწამბათობით

ურომა
სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.
რედაქცია: ვინაზის ქ., 3. ფერაჟის ლა 5. კარანუხუცის სტამბის სადგარში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. სახელმწიფო გარედაცვლით.
ფული და წერილები მიიღება: Кутаись, ред. еженед. груз. газеты „Шрома“.

მიიღება დასაბეჭდად განცხადებახი

ექიმი ა. ო. იაფვილი

(თბილისის საქალაქო 1-ლ ნა-
წილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

ექიმი ა. ნ. დინასამიძე

(ორღინატორი თბილ. სარკინის
გზო საავადმყოფოსი)
კანის, ვენერული და საშინჯის
შუადილი 1—2¹/₂ ს., საღამოთ 6—8 ს.
მოსკოვის ქ. № 4.

ექიმი ივ. ვ. გომარეთელი

შინაგან ავადმყოფობათა
დილის 8—12 ს.,
საღამოთი 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

ექიმი ვ. დ. ლაშაშვიდი

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათს.
ვარდის უბნის ქ. № 9.

ექიმი ვ. ვ. შაღალაშვილი

შინაგან ავადმყოფობათა
დილით 8—10 ს.
ოლგას ქ. № 39.

ექიმი ნ. ვ. შიკინაძე

(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებთა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.
კირიჩის ქ. № 18.

ექიმი უ. ა. მიქელაძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.
საღამოთი 6—7 ს.
მაზილის პრ. № 117. ტელეფ. 8—16

ექიმი ვ. ვ. ნათიშვილი

კანის, ვენერული და სიფილისის
დილით 11¹/₂—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.



ხელოვნურად სამკურნალო და

შეზავებული ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლალიძე ბ. ა. მ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენიდან. წმინდა შა-
ქარით, კიმიურად გაწმენდილი მისაღებისაგან, გამოზღი-
ლი და ნაღული წყლით.

გამო და სუნი სააფხრი აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსების-
თვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობი-
ლია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურ-
ნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პრ. № 3.
№ 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.
(20—13)



ექ. ვახტანგ ლაშაშვილის სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ძალ-ვაჟთაძვის 8—5 წლამდე

დაწერილებით პირობები მსურველთ
გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნი-
ლებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლაშაშვიდი
ვარდისუბნის ქუჩ. № 9

(წ.)



Воспоминанія
И
ХАРАКТЕРИСТИКИ
Г. М. ТУМАНОВА
Ер 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.
Спадь у автора, Барятинска № 6.
(5—8)